









რუსეთის მხარე

ვილნოში. გასული წელიწადი ებრაელები გა-  
ნუწვევით შემობრუნდნენ ქალაქში. სამა-  
გიეროდ კომიტეტები განუწყვეტელი  
გზავნიდნენ მათ, ვის პენსიაში, ვის ვირო-  
ნეში, ერთ დღეს ოცი-ათასამდე გამო-  
ქვეული მოაწვეა ქალაქს. კომიტეტები  
დაიბნენ, არ იცოდნენ რას ეწოდნენ, რა  
გაეკეთებინათ... ქალაქში თერთმეტი  
ნახევარზე ყველაფერი იკეტება, რაც  
რომ სანახავეთა, რესტორანები და სა-  
კონდიტროები. ვილნოსთვის ყველაზე  
უფრო საშიშროება დღევანდელი 9 ავისტო უნდა  
ჩაითვალოს. რაც სიმაგრო კოვჩის დამ-  
ხობის ამავა ნაღვლიანობა და მუშა-  
რება გამოიწვია, იმას მცხოვრებლებში  
ზედ მიემატა ზარბაზნის გამაყრუებელი  
ქუხილი. გერმანელები 20 ვერსის მან-  
ძილზე მოადგნენ ვილნოს ზღაპრულ  
გზადნენ ზარბაზნების ქუხილით, ქალაქში  
ხმები, გერმანელებმა სოფელი ლონდვა-  
როვო აიღეს, ლონდვაროვო 20 ვერ-  
სით არის დაშორებული ვილნოზე და იქ  
მიმე არტილერია გამართეს და ვილ-  
ნოს იქიდან უშენურა. ქალაქში წარმოუ-  
დგენელი პანიკა დადგა. აუარებელი  
ხალხი მიაყვდა რკინის გზის სადგურს.  
ხალხი სამსამი დღე დარაჯობდა ბილე-  
თის საშოვნელად, ამას გარდა დიდძალი  
ხალხი ღრმებით სმორგონზედ მიმავალ  
ნაპოლეონის ტრაქტს. აუარებელი მაღა-  
ზა ნახევრად დაუკეტელი მიუტოვე-  
ბით პატრონებს. მთელი დივალთი უ-  
პატრონოდ ჰყარა.

**რუსეთ-პოლონეთის თათბირის დასა-  
რული.** „Dzjwnik Petrogr.“ პეტროგრად-  
დის პოლონური გაზეთი სიამოვნებით აღ-  
ნიშნავს ეგრედ წოდებულ ოუკებისა და  
პოლონელების თათბირის შეწყვეტას და  
იმედს გამოსთქვამს, რომ ეგრეთი თათ-  
ბირი შემდეგში არ განმეორდება. ვა-  
ხეთის აზრით ეხლა იმის დრო არაა,  
რომ კუთხე-კუთხე პოლიტიკური მოლა-  
პარაკება იმართებოდეს; თუ პოლონელე-  
ბის მხრივ საზოგადო მოღვაწეები, თუმც  
მხოლოდ ერთი განსაზღვრული მიმდინა-  
რობისა, მაგრამ მაინც მოღვაწეები იღე-  
ბდნენ მონაწილეობას, რუსების მხრივ  
მხოლოდ ოფიციალი რაქციონერები  
იყვნენ ამ თათბირში, აღნიშნავს ხსენე-  
ბული გაზეთი და დასძენს: ამიერიდან  
რუსეთ-პოლონეთის საკითხი ამ ორი ხა-  
ლის წარმომადგენლებმა უნდა მოაგვა-  
რონო.

**გაზეთები არ გამოდის.** 7 სექტემბერს,  
მოსკოვის გაზეთები არ გამოდის, გარ-  
და საორშაბათო გაზეთისა, საღამო ეამს  
განახლდა ტრამეის მოძრაობა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ორ-  
სამ-წელში ისევ გაჩაღდება ის მნათო-  
ბი, რომლის სხივებმა გაანათა მთელს  
საქართველოში და ამოქვეყნა ჩვენი  
ეროვნული გრძობა! ჩვენ დარწმუნებუ-  
ლი ვართ, რომ ჩქარა ისევ დაიწყებს  
მოქმედებას ის ტაძარი, საცა ქართვე-  
ლები მოიკრიფებოდნენ ხოლმე „სამშო-  
ბლოს“ ნახვით სამშობლოსთვის თავდა-  
დების სიდიადის და „ლალიტის“ შეგნე-  
ბით სამშობლოსადმი ლაღატის განკი-  
ცვის შესასწავლად და შესათვისე-  
ბლად.

ხოლო როგორც ყოველს საზოგადო  
საქმეს, თეატრის აშენებისათვის ფულის  
შეგროვებასაც მოწყობა უნდა.

ამის გამო მივმართავთ ყოველს ჩვენს  
დაბა-ქალაქსა და დიდ სოფლებს თხო-  
ვნით, რაც შეიძლება მალე დაარსონ  
ყოველ პატარა ცენტრში კომიტეტი,  
რომელიც იკისრებს ფულების მოგრო-  
ვებას.

ამ პატარა კომიტეტებში საკმარისია  
სამი სანდო პირი არჩევა. ამ სამმა არ-  
ჩეულმა პირმა უნდა აცნობონ ჩვენს  
დრამატულ საზოგადოების გამგეობის  
თავმჯდომარეს თბილისი „სახალხო-ფე-  
რისის“ რედაქცია. ი. გედევანიშვილს)  
რომ ისინი არიან არჩეულნი ხსენებულ  
ადგილას კომიტეტში.

როცა მთელი საქართველო მოიფინე-  
ბა ამგვარ კომიტეტებით, მაშინ თბილი-  
სის ცენტრალური კომიტეტი, რომელიც  
უკვე არსებობს, შეატყობინებს მათ, რო-  
გორ უნდა მოიქცენ ფულის შეგროვე-  
ბაში და ამგვარად განხორციელდება  
ჩვენი სურვილი, რომ მთელს საქართვე-  
ლოში მოიკრიფოს თეატრის შენობისათ-  
ვის თანხა.

ზოგიერთმა განიზრახა ფულების მო-  
საკრებლად განსაკუთრებულ მარკების  
გამოცემა. თუ მთავრობის მხრივ ამ სა-  
ქმედებას არ ნახა, მისი გან-  
ხორციელება ძალიან შეუწყობს ხელს  
კომიტეტებს ფულების შეგროვებაში.

დასასრულ ვისურვებთ, რომ ჩვენი წი-  
ნაღვლების დიდი მნიშვნელობა შეიგნონ  
კარგად ყველგან ჩვენი სამშობლოს—სა-  
ქართველოს პატარა ცენტრებში და  
მხურვალედ მოჰკიდონ ხელი აღნიშნულ  
წინადადების განხორციელებას.

**გ. გრძელიშვილი.**

როდის რომელმა ერთმა გაზეთმა ულა-  
ლატა ამ მოვალეობას? უწინარეს ყო-  
ლისა პრესა იგი განაზრახავდა ყველას  
და მოუწოდებდა გმირებს უწინდეს მსხ-  
ვერპლის გასაწირად. იგი მოთმინებით  
იტანდა ცენზურის მიქნევარებას და არა  
თუ იტანდა, უფრო მეტსაც სჩადიოდა:  
იგი თავისთავად სწევდა ცენზორობას,  
მკაცრად ეპყრობოდა თვითმულ სიტყვას,  
რა არის უსაზღვრო ნდობით აღჭურვილ  
საზოგადოების სული რითიმე არ აელე-  
ვებინა...“

ასე ჰფიქრობენ, ასე იბრძვიან, ასეთ  
პროტესტს განაცხადებენ საფრანგეთის  
საუკეთესო მოაზროვნეები, მისი გულის  
მესაიდუმლოები. ნეტავ შეისმენენ მათ  
აჯას? ნეტავ თავისუფლების ქვეყანაში  
be tacto მალე დაიწყება თავისუფალი  
პრესის აკვანი? ნეტავ თუ როდისმე  
ელირება აზრს თავისუფალი ასპარეზი,  
თავისუფალი სარბიელი!

**დ. კ. ძე.**

**დავაპაროთ თეატრის  
შენობის აგება**

როცა ქართული თეატრის შენობა  
დაიწვა, ჩვენ იმდენად დავნაღვლიანდით,  
ისე ადვილსებით ბოღმით, რომ უბედუ-  
რობის გამოთქმასაც ვერ ვახერხებდით...  
დიდი უბედურება მოგვიხდა! ამას  
გრძობდნენ ყველანი, არამც თუ ჩვენ,  
ქართველები, სხვანიც...  
მაშინ ჩვენ ყველანი მარტო იმაზე  
და ვფიქრობდით, რომ ახალი თეატრი  
ავგეშენებინა, ვჭკობდით... რაც შეი-  
ძლება ჩქარა გვესურდა ამ ეროვნულ ჭრი-  
ლობის გამოვლენა, გვესურდა, თეატრის  
ჩქარა აშენება და არა იმით, რომ გასარ-  
თობი ადგილი აღარ გვექონდა, არამედ  
იმით, რომ ჩვენს ეროვნულ საქმეს  
მოაკლდა უმძღვრესი ეროვნული ფაქ-  
ტორი. ვჭკობდით, გვესურდა... და ამ  
დღემ სურვილმა კიდევ აგვაძოქმედა:  
დავარსეთ კომისია და დავიწყეთ ფუ-  
ლების შეგროვება...  
ჩვენდა საუბედუროდ გაძლიერდა ზარ-  
ბაზნების გრილი და ახალმა ცეცხლმა  
მაიძინა ეს ჩვენი ეროვნული საქმე. მი-  
ვატოვებ ფულების მოგროვება და თი-  
თქმის აღარაფერ ფიქრობს თეატრის შე-  
ნობაზე, მის აგებაზე...  
ზოგიერთი მიეცა ჩვეულებრივ ტიპის  
ოცნებას; „დაიცა, ვინმე მილიონს ვად-  
გავგდეგს და თეატრი აშენდებაო“.  
ამ ოცნების სიტკობებამ ბევრი კიდევ  
დაამშვიდა...  
ხოლო ჩვენი სცენა-კი, ბინა დაკარ-  
გული დაწინააღმდეგებდა აქ-იქ ვანიც-  
ლის უკიდურეს გაჭირვებას...  
არტისტს, დრამატურგს, საზოგადო-  
ების თანდათან უგრძობდებოდა გული და  
ვეჩვენებთ საკუთარი სცენის უქონლო-  
ბას...  
დავგაფიქვდა ამ ახლო ხანში მომხდარ  
რი სრულიად საქართველოს სცენის მო-  
ღვაწეთა პირველი ყრილობა; დავგავიწყ-  
და ამ ყრილობაზე წამოთქმული გრძ-  
ნობიერი სიტყვები; დავგავიწყდა ამ  
კრებებზე აღნიშნული დიდი ეროვნული  
მნიშვნელობა ჩვენის სცენისა; დავგავიწყ-  
და ყველა ის, რამაც თეატრის დაწ-  
ვის პირველს დღეებში ჩვენ ყველანი  
ავგავტირა...  
საბოლოო ქართული სცენა!  
განა თუ ის ბედნიერი დღეები, ის  
დიდი სურვილი ჩვენი სცენის გაუმჯო-  
ბებისა, ის მზადება და ფიქრები სცე-  
ნის გალონიერებასა და გაძლიერებაზე  
განა ყველა ეს უბინდრობას, სხვის ჭერ  
ქვეშ შეფარებას და აქა იქ წინააღმდე-  
გობას უკიდურეს ქართულ სცენას?!...  
განა მთელს ჩვენს ერს ვერ შეუძ-  
ლიან, რაც უნდა გაჭირვებაში ვიყოთ,  
ერთი თეატრის აშენება?! განა სამ მი-  
ლიონ ხალხს ვერ შეუძლიან რაღაც ნა-  
ხევარ მილიონის მოგროვება?!...  
მაგრამ არა... ცხადია, ყველა ეს ვი-  
თომ და ჩვენი სიბეზარე და უშლურობა  
ელანდება ჩვენს დაუადამოყვებულს,  
დააზარულს, ბევრჯელ და ბევრში იმედ-  
გაცრუებულს გულს...  
ჩვენ გვეჯერა და გვეწყობს, რომ არ  
მოგტყუდებით და ქართველი ერი ად-  
ვილად და ჩქარა აასრულებს ამ თავის  
გადაწყვეტილებას!—ადვილად აუგებს  
ამ ჩვენს ეროვნულ ფაქტორს, ჩვენს სცე-  
ნას, შესაფერ ტაძარს...  
ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყო-  
ველი ქართველი, ვინც გინდა იყოს იგი:  
მდიდარი თუ ღარიბი, თავადი თუ გლე-  
ხი, ნასწავლი თუ უსწავლელი, ყველა  
გამოიღებს ამ დიდ მნიშვნელოვან საქ-  
მისათვის თავის წილს.

გოლიუციის ქვეყანაში. უბადრუკი არიან  
ისინი, ვინც უშუალოდ წარუშლელ დაღად  
დაისვამენ მის მოსპობას და ამით დას-  
ტურს დასცემენ დაპყრობილ ტერიტორი-  
ისი დაკარგავს. ეს იქნება მათი სას-  
ჯელი..

შემდეგ ასე ათავებს კლემანსო ამ  
მკვერობის საუცხოვო ნიმუშს:  
კმარა! ასეთი ყოფით შეუძლებელია  
დაიდ დღის მოსვლას შევეგებოთ! მოს-  
წყვეტეთ ყოველივე ეს და ქარს მიეცით  
სანიავოდ! ჯოჯოხეთშიაც გზა ჰქონია  
დავიფიქროთ!... დავიფიქროთ!... ჩვენ მხო-  
ლოდ ერთი რამ უნდა გვასულდგმულე-  
ბდეს; თავისუფლება! ყველა ეს ჯარის  
კაცები, რომელთა ქება უფრო გვეადვი-  
ლებს, ვიდრე მათი დახმარება, ჩვენ გვი-  
ყურებენ და მოუთმენლად მოვილან  
წუთს, როდესაც ძლიერად დებრუნე-  
ნება მოუხდებოდა სამშობლოში. მრავალი  
განცდა ელისთ, მაგრამ მაინც დაბრუნ-  
დებიან. ეს იქნება უდიდესი და უბრ-  
ყინვალესი დღე ჩვენის ისტორიისა. ჩვენ-  
ზეა დამოკიდებული ამ დღის სიდიადე,  
ჩვენვე დავიმსახურებთ მას. მაშინ ჩვენი  
შვილები ამაყად შეეგებებიან მსხვერპლს,  
მოვალეობის უდიდეს სიმშვენიერით აღ-  
ფრთხევანდებულნი, უსაზღვრო იმედით,  
მაგრამ იმავე დროს ათას განსაცდელით  
პილებ დახრჩობილებულნი, მოვლენ და  
პირის-პირ შემოგვებდებიან. რომელი ჩვენ-  
განი გაჰბედავს თვლის გასწორებას,  
რომელ ჩვენგანს შეეძლება მოისმინოს  
მათი მკაცრი მხილება: „რატომ უკეთე-  
სად არ მოიქეციეთ?“

კლემანსოს აქ „უკეთესად მოქცევა  
ესმის იმ მხრით, რომ საზოგადოება  
გულგრილი და ახლილი პრესით ყოველ  
მოსალოდნელისთვის იყოს მზად და არც  
დღივად და არც დღი მარცხი სიუპრი-  
ზად არ მოეჩვენოს.“

საინტერესო წერილი უძღვნა პრესის  
თავისუფლებას არტურ მეიერმა „Gaulo-  
is“-ს ფურცლებზე. აი ნაწყვეტი ამ წე-  
რილიდან:  
„... ცენზურას სასიამოვნოდ მაიჩნია  
როგორც ჩემი, ისე მრავალთა წერილე-  
ბის ჩამოხრჩობა. არ დავიდვს, თუ ასე-  
თი ჯალათობა რამდენად უფურცავს  
კეთილშობილურ გრძობებს. ახლა თქვენ  
ზრმანეთ სიბეცე ცენზურისა! ერთდრო-  
ს ჩემი წერილი მხოლოდ იმით მოსპეს,  
რომ პარლამენტის მოქმედებას ვაკრიტი-  
კებდი. შევხედეთ, იმავე თვალსაზრისით  
ამუქებდა საკითხს, თითქმის ისეთივე  
სიტყვებით, როგორც მე, „უბრუნდო დე-  
დება“-ს ფურცლებზე. რატომ? რად  
ხდება ასე? რა თქმა უნდა, ხსენებულ  
უბრუნდო ვუსურვებ გამარჯვებას; რომ  
ასეთი ბედნიერი ყოფილა, მაგრამ რა  
დააშავა „გოლუაში“ ასევე მოუვიდა სხვა  
ჩემ წერილებს, სხვათა შორის „სამხედრო  
მინისტრის გაბედული სიტყვა“-ს რომე-  
ლიც მხოლოდ იმით მოსპეს, რომ მი-  
ნისტრის მოქმედებას ვაკრიტიკებდი.  
მართლაც, ცენზურის ასეთი საქციელი  
მაგონებს ჯაშაზის ვარჯიშობას. თუ  
გვესურს პრესისა, მთავრობისა და ხალხის  
ინტერესების დაცვა, მაშინ ბოლო უნდა  
მოვიღოს ცენზურის ასეთს აულაგავე  
ჯირობას.

დიდად ვგახარებს, რომ პარლამენტმა  
პრესის წარმომადგენელთა პეტრიკის სა-  
თანადო ყურადღება მიჰქცია, თუმცა  
ვევლოვ კი, რომ რაიმე ნაყოფი გამოი-  
ლოს. ამის შესახებ სხდომა მოხდება ფე-  
რულად და ვინ არ იცის, როგორ და  
საით გადაპზრიან საკითხის საქმეს...“

არა ნაკლებ საყურადღებო წერილი  
უძღვნა „ტანმა“, თვით „ფიგარო“, „პა-  
რი ამიდი“, „უბრუნდო დედერამ“, სა-  
დაც ცენზურას დასაითმენ რეორც  
„ანონიმური და კოლექტიური დესპო-  
ტიზმი“. საზოგადო ინტერესს იწვევს,  
სხვათა შორის, „უბრუნდო“, „ეკოლდე პა-  
რი“, „პტი პარიზიონ“, „აქსიონ ფრანსე-  
ში“ შარლ მორა სხვათა შორის ამბობს:  
„თუ პარლამენტი კონტროლოებს, უნდა  
თვით მასაც გაუწიოს კონტროლი... რომ  
ანარქიას მოვიღოს ბოლო, უნდა ყველამ  
ერთსულოვნად მხარი დავუჭიროთ „ფი-  
გაროს“. ცენზურამ უნდა ყველას გამო-  
თქმევიანოს აზრი, ეს საჭიროა არმიის  
დასაცველად, თვით სამშობლოს საკე-  
თილდლოდ. სინდისი საყსაბოში არ  
უნდა იგზავნებოდეს განსასჯელად.“

ხმა ამოიღო თვით უწყინარმა და ყვე-  
ლასათვის საყვარელმა აკადემიკოსმა  
ენილ ფავემ „გოლუას“ ფურცლებზე:  
„ფრანგული პრესა იმის დასაწყისში,  
მართლაც, ყოველდ უმწიკლო როლს  
ემსახურებოდა. რა მაიჩნია მოვალეობად?  
რა თქმა უნდა, სამშობლოს რწმუნებულ-  
თა გმირებისადმი რწმენის გაცხველე-  
ბა და საღმრთო ერთობა! აბა სად, ან

ომის დაწყებიდან მთელმა პრესამ აუ-  
არებელი მაგალითი დაგვანახა თუ რა მა-  
შულიშეიღობა გრძობით ჰვეთეს მისი  
გული, როგორ გამოხულად და ერთგუ-  
ლად ეგებება იგი ყოველმსდერს. ეს ჩვენ  
გვაჯავლება უფლებაზე ხმა აღვიმადლოთ  
და ყოველისფერს ანგარიში გავაწვიე-  
ნონ.

პარლამენტის ერთს უდიდეს სანქცია-  
თა ვსთვლით: ყოველისფერი გამოქვეყ-  
ნდეს!

უქანტროლო მმართველობა, უქანას-  
ქნელი საპარლამენტო კრება დესპოტიზ-  
მის თანასწორია!

ჩვენ გზობით, ბნო სენატორებო და  
ბნო დეპუტატებო, მთავრობისადმი  
ნდობა მოგვიპოვოთ, რათა მან სადამი-  
ნისტრაციო და საპოლიტიკო ცენზურას  
დაუგზავნოს ინსტრუქციები, რომ ამ  
უქანასკნელმა შეაჩეროს მშვენივარე მიმ-  
ართლებს პრესის წინაშე ერთად ერთ  
ნაციის საკეთილდლოდ, რომლის წინა-  
შეც ერთსულოვნად ქედს ვიხრით მა-  
რად!“

პეტრიკას, როგორც ვსთქვი, საფრან-  
გეთის აზროვნების ბაიარხტარებმა ერთ-  
გულად ხელი მოაწერეს. შემდეგ თვით  
პრესაშიაც გაჩაღდა წერილები ამის გარ-  
შემო. ყველაზე საინტერესოდ მიგვიჩნია  
კლემანსოს წერილი „L'homme enchainé“-  
ში დაბეჭდილი. აი, ზოგიერთა ადგილე-  
ბი ამ სანიშნო წერილისა: „... დღეს  
„ფიგარო“ მოითხოვს რესპუბლიკელთა  
იმ უფლების მინიმუმს, რაიც თავისუფალ  
მოაზროვნის იდეალს შეადგენს, რათა  
სამშობლოს ინტერესების დასაცველად  
ამხედრდეს ამ საშინელ კრიზისის დროს,  
როდესაც ფრანგთა სიკვდილ-სიკოცხლის  
ბედი სრულდება.“

ყური მომამაყარით, თქვენ, „რესპუბლი-  
კანტო“ და თქვენც ძალოვანნო „რევი-  
ლოუციონერებო!“ ვახსენეთ ის დრო და  
გარემოება, ის ზრახვანი გულისა, თუ  
ამორჩეულთა აზრით ანუკედით უფ-  
ლებას თქვენ მაგიერ ხმა ამოვიღოთ.  
აბა აიღეთ და გაუწიოთლელოდ წაიკით-  
ხეთ, თუ კი შეგიძლიანთ მოთმინებით  
მისი ჩაიხთხვა, თუ მთელი წლის განმავ-  
ლობაში როგორ სისხლ-მორყულად ამ-  
ხედრებულია მალა დაყენებული კალმის  
დარაჯი, რომელიც ასე აუშფოთლებივ  
თავის გვადევნებს სიტყვა არ წავიკე-  
დეს. არსადან ხმა, არსად ძლიერი და  
მეტყველი ფრაზა, არსად არჩილი პო-  
ლიტიკური კრიტიკისა, გარდა ერთი  
მშრალი ფაქტების აღნუსხვისა, რაიც,  
ვინ იცის, არც ერთს მთავრობას არ  
ენახოს, ვინაიდან ამ მშრალი ფაქტების  
აღნუსხვით სცილობენ საბრალდებლო  
ოქმის ვაბათილებას და ხალხის წინაშე  
მობოდილება-თავის მართლებას.

არ ვგერძობლით საქვეყნად განვიცხა-  
დო, რომ საფრანგეთის პოლიტიკის ის-  
ტორიაში „ფიგაროს“ მანიფესტით აღი-  
ნიშნება ახალი ხანა, ვინაიდან იგი მპოწ-  
მობს ჩვენს აზროვნების მომწიფება-ვეო-  
ლოუციას, რაიც არა მარტო სიტყვიერ-  
ია, არამედ საქმიანაც მისწრაფვის,  
რომ მისი არტახები მოხსნილი იქნას!  
საჭირო არ არის ახალი ბატონის გამო-  
ძებნა, რომელიც ალადგენს ოლიგარხთა  
ინსტიტუტის ყინიანობის სარბიელსა.  
არა! თავისუფლება სიტყვისა, თავისუფ-  
ლება პრესისა, აი რა მოუწოდებს მამუ-  
ლიშვილთა თავგანწირულებას, აი რას  
მოაქვს გარანტია სამშობლოს დაცვისა!  
თავისუფლება ეს თვით ჩვენი სამშობ-  
ლო ქვეყნის თანასწორი ცნებაა, რაიც  
აკეთილშობილებს და მოქალაქედ ჰხდის  
ყველა ჩვენგანს!

ვის, ან სად გაუგონია, რომ მთავრობამ  
ყოველ ჟურნალ-გაზეთს აუკრძალოს სი-  
მართლის გამოქვეყნება გარდა ერთი  
რამისა, სადაც მოკავშირეთა გამარ-  
ჯვებაზე იქნება ლაპარაკი? ვის ან  
სად უნახავთ მთავრობა, რომელიც ასე  
რიგად ამახინჯებს საპარლამენტო დე-  
ბატების ანგარიშს „უბრუნდო ოფისი-  
ელი“-ს ფურცლებზე, რა არის ამით  
ერთგვარი რეკლამა მოუპოვონ თავიანთ  
მინისტრებს? ვის, ან სად უნახავთ  
ცენზორის ქარცეხლის ქვეშ გა-  
ვლებულ ჟურნალ-გაზეთის დაკავება,  
რომ ახალ კანონთა და წეს-რიგთა ურო-  
თი ჩაპრეგონ თავისუფალი აზრი მხო-  
ლოდ იმით, რომ კაბინეტში მეტოქეთ  
ძლიერი მეგობრები მოეპოვებინათ?

კმარა ასეთი რეჟიმი! კმარა ასეთი  
უმსავსო საქციელი, რის ანალოგისაც  
მხოლოდ რულიმენტალ მდგომარეობაში  
მყოფ ხალხთა შორის თუ დავინახავთ.  
საფრანგეთის პატივი მოითხოვს, რომ  
მოსპოს იგი! საშვილიშვილო სირცხვი-  
ლი გვატყდება თავს, თუ ცენზორს ვა-  
პარაშეშობთ საფრანგეთის სახელგან რე-

**კოპიარაციის დროის ქვეშ.** მოსკო-  
ვის გუბერნიის მხნე მუშაობა კოპი-  
რატეების გარშემო. ამ ნიადაგზე მომუ-  
შავეებმა მიაღწიეს მოულოდნელ შედე-  
გებს. გუბერნიის ყველა კოპირატორი  
შეერთდა და ერთ მწყობრ ორგანიზა-  
ციად ჩამოიქნა. სულ მივარდნილ და  
მიკრუებულ სოფლებსაც კი მოვიდა ეს  
წყურვილი. შეერთდნენ და შექმნეს ერ-  
თი მეგობრული, კოპირატორული ოჯახი,  
საერთო საქმიანობის გასაძლიერად. ასე

**მგზავრის შანიშნავი**  
(საკუთარ კორესპონდენტისაგან)  
(გაგრძელება)

**არტანდი.** სად. ბელიუბეტსკიდან მი-  
მავალი გზა არტანდისკენ ძალიან საძნე-  
ლოა და მასთან აღმართი. საკმარისია  
ცოტათი წამონამოს, რომ გზა გაუფლ-  
ელი შეიქმნას, რადგან სამხედრო მმარ-  
თელობა ეხლა მშენიერ გზატკეცილს  
აკეთებს. როდესაც მიუახლოვდებით არ-  
ტანს ერთი საშიშროება ვერსი თავვე-  
შესვლისათანავე ამ დაბაში თქვენ სრუ-  
ლიად სხვა სურათი გადაგვლდებათ, მა-  
შინათვე იგრძნობთ, რომ აქ რაღაც არა  
ჩვეულებრივი ამბავი დატრიალებულა.  
მთელი არტანდის მიდამო ათასგვარი სი-  
მაგრებით არის გარემოცული. ამას  
გარდა ყოველ ნაბიჯის გადადგმაზედ  
თქვენ დაინახავთ დამწვარ-დანგრეულ  
სახლებს. როგორც სჩანს, აქ მშვიდობი-  
ანობის დროს დიდი ვაჭრობა ყოფილა.  
არტანს გარშემო ბევრი სოფლები ახე-  
ვია, უმეტესად ოსმალ-თათრებისა და  
ბერძენებისა.—არის რამდენიმე სოფელი  
მალაკნებისაც. ყველა ვაჭრები აქ რა თქმა  
უნდა, სომხები. დღეს ყველაფერი მოს-  
პობლია. თუმცა ბევრსა სურს განაგრ-  
ძოს ვაჭრობა, მარა კვლავ შიშს განიც-  
დიან. თუ გაუბედნია ვისმეს და გაუს-  
ნია სავაჭრო, ისიც მამასისლად ჰყიდის  
ყოველისფერს, პური მესამე ხარისხისა 8  
კაპეიკად იყიდება.

**ვანო ს—შვილი.**

ასეთი დღეს მდგომარეობა არტანდიში.  
**ვანო ს—შვილი.**

ასეთი დღეს მდგომარეობა არტანდიში.  
**ვანო ს—შვილი.**

ასეთი დღეს მდგომარეობა არტანდიში.  
**ვანო ს—შვილი.**



რომ საგუბერნიო და სამხარო კომიტეტების გვერდით შესდგა სოფლის საკომპარტო კომიტეტები.

ეს მოძრაობა დღით დღე ფართოვდება, მშრომელი რუსეთი ესწრაფვის შეერთდეს ერთ საკომპარტო დროშის ქვეშ.

**ახალი ქარხანა.** სრულიად რუსეთის ერობათა კავშირი შეუთანხმდა 150 ერობას, რომ საზიაროდ იყიდონ უტხეთში საერობო სამკურნალოთათვის საჭირო წამალი და პრეპარატები. საერობო კავშირი წამლებს იწერს ამერიკა-ინგლის-იაპონია-საფრანგეთ-იტალიიდან.

მაგრამ რადგანაც წამლის ფასმა ნამეტნავად აიწია, საერობო კავშირი განზრახავს აქვს გახსნას ახალი ქარხანა საქიმო და საფარმაცევტო პრეპარატების გასაკეთებლად.

**უნდა დავახაროთ!**

არა ერთხელ და ორჯელ წამიკითხავს და გამიგონია, რომ საქართველო ირგანოების მოწყობა, რომელიც უზრუნველ ჰყოფს ჩვენს გაქირებულ მშრომელ-მოღვაწეთ. აი, ამ რამდენიმე ხნის წინად „სახ. ფურცელში“ ბ-ნ ი. გედევანიშვილმა ცადრა ეს ფრიალ საყურადღებო საკითხი, მაგრამ ყოველთვის ეს ცარიელი სიტყვები რჩება „ხმათა მლაღლებელთა უდაბნოსა შინა“. ჩვენ, საერთოდ ქართველებმა, მწერალ-მოღვაწეთა დაფასება მხოლოდ სიკვდილის დროს ვიკითხავთ, ხოლო როცა იგი ცოცხალია და სიღარიბეში ჰქაფავს სულს, მაშინ არავითარ ყურადღებას არ ვაქცევთ. თუნდა ავიღოთ ვაჟა-ფშაველა, განა მის სიცოცხლის დროს უფიქრია ვისმეს მის ნივთიერ მდგომარეობაზე? განა არა, გულმა უგრძობო, როდესაც ერთხელ დაიხილა: „ვიდრე ჩემ სიცოცხლეზე და ჯანმრთელობაზე იფიქრონ, აგერ რამდენიმე წელიწადია სასაფლაო მიყიდესა“. ასეთივე სიღარიბეში განუტყვევს სული არ. ჯორჯაძემ, ე. ნინოშვილმა და სხვ. მაგრამ ჩვენი საზოგადოება კვლავ სდუმს და გულგრილად შეჰყურებს დღესაც იმ ცოცხალ მწერალ-მოღვაწეთ, რომელნიც დაუდგრობლად მუშაობენ სამშობლოს ასაყვავებლად და თან სიღარიბეში ჰქაფავენ სულს. ასე არ იქცევიან სხვა ერები, თუნდა ავიღოთ პოლონეთი, მათ თავიანთ მწერალ სენკევიჩს ობილიის დროს მთელმა ერმა საჩუქრად მიართვა ცხოვრებისთვის უზრუნველი მამული და მოწყობილი სახლი, თუმცა სენკევიჩს არავითარი დახმარება არ ექირებოდა და კერძო საგვარეულო მამულისთვისაც ვერ მოეწეოდა. ჩვენ კი, ქართველებს, წელიწადში ერთხელ თითო სალიტერატურო საღამოც ვერ გავგვიმართინა ღარიბ მწერალ-მოღვაწეებისთვის. შორს ნუ წავალთ და მაგალითისთვის ავიღოთ შიო მღვიმელი, ბავშვების გულის მესაიდუმლე მგოსანი, ჩემი მომუშავე, ღარიბი, უმწეო და მასთან ძალიან შეფერობებული. ოცდაათი წელიწადია იგი საბავშვო ლიტერატურის ემსახურება და დღესაც განაგრძობს... მაგრამ განა ახსოვს ვისმეს შიო მღვიმელი? უკითხავს ვისმეს მისი მდგომარეობა? არავის. ეს იმიტომ, რომ მას სხვადასხვა არ შესწევს უნარი ყვირილისა და გუშინდელ გამოსულ ორიოდ ლექსის დამწერებასათვის საღამოების მართვისა და ამიტომაც არის, რომ ჩემად ჰზიდავს იმ გაქირებულის ტვირთს, რომელიც მას წილად ჰხვდა ადამიანების უსამართლობით, რომელთაც თავიანთ თავი საზოგადო მოღვაწეთ დაუსახავთ და დღეს თბილი ადგილები უჭირავთ. დღეს-კი შიო ქუჩა-ქუჩა დარბის და თითო მანეთობით სესხულობს, რომ ბავშვის სასწავლებლის ფული შეიტანოს. დარწმუნებული ვარ, რომ შიო მღვიმელი, რომ გარდიცვალის საზოგადოება ფეხზე დადგება, გაზეთები შავი ზოლით შემოსებიან, დასამარხავ ფულს გამოსძებნიან, დეპუტა დეპუტას მოაკვებენ, მშობლები თავიანთ ბავშვებს ალაპარაკებენ „ველოვობთ ძია შიოს“, აგლოვობთ ბავშვთა მესაიდუმლეს ძია შიოს“ და სხ., იგი მაშინ გახდება ბავშვთა ამღვრადელი, გამოთვითცნობიერებელი, მუქურ ვარსკვლავი, შიის მნათობი და ბეგრი სხ., მაგრამ დღეს ეს ძია შიო სიღარიბეში დაფავს სულს, თითო გირვანქობით პურს ყიდულობს... ყველა ამან იმდენად იმეორებდა მისზედ, რომ სული-

რად დასცა და ვისაც უნდა შეხედეს და სადაც უნდა დაჰპატიოთ აღარფერს ერიდება... ჯერ ზაფხულში უნდოდათ მისი ოცდაათი წლის მოღვაწეობის აღნიშვნა მაგრამ სამჯერ გადასდეს და ვერ მოხდა—მერე კენისთვე დაუდგეს ვადად მაგრამ აგერ ესეც გადას და ზამთარი-კი ახლოა, ხოლო შიო აბუხულ წიწილასავით განაგრძობს სიარულს და ზამთრისთვის არა მოეპოვება-რა...

ბოდიშს ვიხილ, რომ მღვიმელზე ამდენ ხანს შევაჩერე მკითხველი. ეს მაგალითისთვის მოვიყვანე, თორემ შიოსთან ბევრნი არიან. საქართველო საზოგადოებაში ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიუქცევს და რაიმე სახსარი გამოიხსნის მწერალ-მოღვაწეთა დასახმარებელ ფონდის დასაარსებლად, თორემ ბოლოს ყოველთვის „თითზე კბენანი გვიანლა ხოლომე“.

განი ს—შვილი.

**აჭარა**

თითქოს საქმარისი არ იყო ის უბედურება, რომელიც ომის გამო აქაურებს დაატყდათ თავზე, მათ გაუჩნდათ დიდ აჭარის მამასახლისი იუსუფ ალასირაძე, რომელმაც ლამის სული ამოჰხადოს ისედაც გაძვალ-ტყავებულ მცხოვრებლებს.

სარგებლობს ამ არეული დროით, თავის უფლებებით, და სადაც როგორც მოესურვება, ისე იქცევა. 5 ივნისს ღამით, როცა ცეცხლმა გაანადგურა სოფ. ხულოს არსებული სასოფლო სასამართლოს შენობა, მამასახლისმა სამმართველო სოფლის დაუკითხავად გადაიტანა ხულოდან ს. ლორჯონში. სადაც თვითონ ცხოვრობს.

ეს ბევრნაირად ხელსაყრელი იყო ამ ვაჟბატონისთვის. პირველი, რომ ის მოსურებულყო იმ პირებს, რომელნიც თვალ-ყურს ადევნებდნენ მის მოქმედებას და მეორე, ის ბრძანდება თავის სახლში და ისეთ მივარდნილ ადგილას, სადაც არავის შეუძლიან მის მოქმედებას თვალ-ყურს ადევნოს. მოიკალათა ასეთ ადგილას და შეუდგა თავის ჯიბის ავსებას იმ საწყალ ხალხის ფულებით, რომელთაც არ ახადიათ არც საქმელი, არც ტანთაცემელი და არც სამუშაო იარაღი. როდესაც მოგესახათება ამ ვაჟბატონს ფულების აღება, დიხარებს საწყალ გლეხს, რომელსაც გამოუფრენებს რამე ხრიკს და დამუქრება ციხეში და მუყვედვას. აქაურ უფიც გლეხის ხეწნა-მუღარას არა აქვს საზღვარი და განსაცდელისგან გამოიხსნას სთხოვს. ისიც, როდესაც მიიღებს საქართველოს, შემდეგ ასეთ დამნაშავეს ანთავისუფლებს. საჩივარზედ თუ ვინმემ მიმართა, მაშინ მომჩივანმაც და მოპასუხებმაც მას უნდა გაუმასპინძლდნენ ფულებით, რის შემდეგაც საქმე სხვაგვარ მოგვარდება. მისმა ასეთმა საქციელმა ლამის მთელი ხალხი გაყვილდნენ და ერთი მეორეს გადაკიდოს.

არა ნაკლები საყურადღებო საქმე ჩაიდინა ამ სოფლის რაინდმა ერთ აქაური გლეხის წინაშე. ერთ აქაურ გლეხს უყიდა ერთი უღელი ხარი ამავ სოფლის გლეხიდან, (აქ ყიდვა-გაყიდვის დროს ერთი მეორეს მოწმობას არ ართმევენ) ეს გაუფთა მამასახლისს, რომ ხარების მყიდველს ნაყიდობის მოწმობა არა აქვს და ხარები ჩამოურთმეგია მისთვის. მიზეზად უთქვამს: ეს ხარები ნაპარავია და ამიტომ ჩემთან უნდა იყვნენ, ვიდრე პატრონი მოიკითხავდეს, შენ კი დღემდე 50 კაპ. უნდა იხადო საქონლის ხარჯი, ამ ხარებს პატრონი საიდან უნდა გასჩენოდა, როდესაც ეს ნაპარავი კი არა, არამედ საყურებია იყო იმ კაცისა, რომლიდანაც ამ გლეხმა იყიდა. განვლო თითქმის ერთმა წელმა; იანგარიზა გლეხმა და ხარების შესანახი მოუწია მას ვადასახლად 180 მან. რადგან მას არ შეეძლო ამ ფულის გადახდა, მან მიმართა ადგილობრივ უფროსს ბ. ნიკოლენკოს დახმარებისთვის, მაგრამ მან კარები უჩვენა და უყურადღებოდ დასტოვა მისი თხოვნა.

შემდეგ დიდის წვალებით ერთმა აქაურმა გლეხიანმა პირმა ჩამოართო ხარები მამასახლისს და თითოეულ წაიყვანა სახლში და უთხრა პატრონს: ვიდრე პატრონი არ გაიზინდება, საქონელი ჩემ-

თან იყოს და შესანახ ფულს არ გაიზინებო. ხარები მან წაიყვანა, ჩვენი საბრალე გლეხი დღესაც უხაროდ იარება. ნეტა რა გაუკეთა ამ გლეხიანამ პირმა თავის გულკეთილობით იმ საწყალ კაცს? ასეთია აქაური ძალმომრეობითი სამართალი.

ბ. სირაძე არ კმაყოფილებდა იმ სისაძაგლით, რასაც ის იღენს ხალხის წინაშე და ამავ დროს წინ ელობება სწავლავანათლებლის საქმეს. მან გაიჩინა თავისი დამქაშები და ხალხში ავრცელებს შემდეგ ხმებს: რომ მათ უნდათ თქვენი „გავაუტრება, ანტიომ ყველა მაჰმადის მორწმუნეს ვალა ამას წინააღმდეგობა გაუწიოთ“. თუმცა მის ასეთ მოღვაწეობას არაფერი ნაყოფის გამოდგება არ შეუძლიან დღეს, მაგრამ ის მაინც დიდს შრომას ეწევა სწავლა-განათლებისა და ყოველ კულტურულ დაწესებულების დაარსების წინააღმდეგ. აი ასეთია ამ ვაჟბატონის თავისუფლობა და მის ასეთ მოქმედებისათვის თუ ვინმემ მიმართა აქაურ „დიდ აღმინისტრატორს“, ის ან მოლაპატნის სახელს უწოდებს ან კიდევ შენი საქმე არ არისო და კარზედ მიუთითებს. უფრო მეტი გვიბრძანა მიუძღვის მას ხალხის აწიკებაში, რომელიც მოხდა აქ, მაგრამ ჯერ ამან უნდა ლაპარაკი უნდებოდ მამანია. მაგონ ესეც საქმარისია, რომ დანიანოს საზოგადოებამ ამ ვაჟბატონების და მათი „მფარველების“ საგმირო საქმენი.

გ. კაპაჩიძე.

**ქვემო ქიზიუს ჭირ-პარაში**

ნაცნობი გლეხი შემხვდა, მომსალმა და მითხრა: არ გებრალბები, ორი შვილი მყვანდა და თრევე ომში წაიყვანეს. დავჩი თვალ-ცრემლიანი, უკან მიდის ჩემი ოჯახი და მე ბრძამ როგორ მოვაგებო საქმე და ამოუშვა მალა ხმით ტირილი. ამის გამგონს მეც ცრემლები ჩამომცივდა და ამით და ვანუგეშე: რა გქნათ, ძმაო, ჩემი ორი შვილიც იქ არის. აი ასეთი ტირილი და ქეითინი ისმის ყველგან, მაგრამ ამას ჯანი გავარდეს, ეს საზოგადო მოვალეობაა და უნდა ავიტანოთ, მაგრამ სხვანაირ სინდელში იმყოფება ქიზიუი და მშველელი არავინ არის, აი ესაა უტანელი და სამიმო ჩვენი საქათხი.

პირველად უნდა ითქვას პურის და ღვინის მოუსვალობაზე. ღვინის მოსავალი ისე მცირეა, პურის მოსავალი საშუალოა, და არა სრულს წლის სარჩო. მაგრამ ამ საშუალოსაც ჩარჩ-დღალდონი ეპატრონებიან: ეხლავე ყიდულობენ ხორბალს გლეხებისგან და საღვწი მანქანის პატრონისგან ფუტის რვა აბაზად და თვითონ ჰყიდიან ფევილად სამ მანეთად. ერთი აბაზა ჩარჩოთაგანი გახლავთ და ე. ჩოლოყაშვილისა ქიზიუსის მამულის მოურავი ზაქარა. მან დაიკვეთა საღვწი მანქანების პატრონებისგან ხორბალი და ეხლა სხვას აყიდებს ფუტის 3 მ. და 3 მ.

—20 კ. ყველა უნდა ვაჭრობდეს და ვაჭრობიდან სარგებლობა უნდა ჰქონდეს, მაგრამ ესეთი უღმერთო მოგება კი ყველაფერს აღემატება.

ვთხოვთ თ. ჩოლოყაშვილს, მოახდინოს კერძო განკარგულება თავის მოურავზე: დაანებოს თავი ამ ჩარჩოებს, მოურავოს წისქვილებს და მოაგვრებს რიგიანად დაუფქვას ხორბალი და არა უროშავედეს. მით უმეტესად შეუძლიან ესე უბრძანოს თ. ჩოლოყაშვილმა ამ გაქირებულის დროს. როცა ვიცით მისი კეთილი მგალობით, რომელიც წინად მიცემული იყო ზაქარასადმი: გაქირებული ბევრია და სიზინდი ისე გაჰყიდეს, რომ ყველას გაჰხვდეს, და არა ერთმა ჩაიგდოს ხელში და მით დალალობა დაიწყოსო.

ამას ზედ დაუმატეთ ჩვენი იარაღების სიძვირე. მთლად გაუფებობაა ვინ როგორ ძვირად აფასებს გასასყიდელ გამოტანილს სანოვავს თუ სხვა რასმეს. მაგალითად, თიბათეში კიტრი ყოფილა შაურად 15—20-ი, წელს კი (ძალიან კიტრიანობა) შაურად სამია. ასეთსავე გაუგონარს ფასს ადებენ ქათამს, კვერცხს, ფევილს, ფარჩეულობას და სხვას.

ანაირს სიძვირეს მალამო უნდა დაედევას, გამოეჩინოს სასწორი დღევანდელი ღირებულებისა და ამისდაგვარად გაიყიდოს ყველა სანოვავე და შეშული.

ქიზიუი ჰმადლობს ბ-ნ ა. ნაღირაძეს და ბ-ნ ზ. ნაცვლიშვილს, რომელთაც ამ წარსულ კვირას კეთილ ინებეს და გამოადგვეთ აუტრადეს ფევილის გაყიდვა გაუფებარ-შეუფერებელ ფასად (ფუთი 2—80 კ) მესასწორეს ნება არ მისცეს ფევილი გაყიდულიყო, თუ არ ფუთი ორ მანეთად. იმედია ეს პირნი კეთილ ინებებენ, როგორც იარაღის ზედამხედველნი, და წესიერ ნიხრს დაადებენ ყოველს გასასყიდ შეშულს.

ამით არ თავდება ქიზიუსი გასაქირი. ახლა კიდევ ბრძანება—სიღნაღიდან დედოფლის წყაროდინ (თუქურშიმა) გზა ტექცილი გაიყვანონ და თვითელს კომლს აუტრადეს ორი და ათი შაური. მეორე განკარგულება: თვითელს სულზე გადახდილ იყოს ექვსი შაური სამი წლის განმავლობაში. გლეხი კითხულობს და პასუხი უნდა მიეცეს: რაღა ამ დროს დაგვკვირად სიღნაღ-თუქურშიმის გზა ტექცილი, როდესაც დამცველ პოლკის ხსენებაც არ არის, მაშ ვის ვაუტუვოდ ეს გზა, და თუ გავაკეთებინებენ, გვადროვონ მაინცაო. კზა კიდევ მარტეგებლია, მაგრამ ეს ჩვენი მალაზის „სულის პური“ საღა იმალბება? ჩვენ გვაქვს „სულის პურის“ თანხა, და როცა გასაქირი აქვს მთავრობას, ჯერ ეს მოიხმაროს და ამ ღუჭირობის დროს კი ნულარ გამოგვადებინებენ სულზე 30 კაპ, ხევე თანხა ზემოხსენებულ გზის გატანას მოახმარონ და შემდეგ მშვიდობიანობის დროს ჩვენვე შევაგებოთ. ასეთი მოსაზრება ყველა სოფელში ტრიალებს და განაჩევიც დაადგინეს რამდენიმე სოფელმა, მიჰმართეს ადგილობრივ მომრიგებელ-შუამავალს ბ. ჰყონიას, რომ „სულის პური“ ჯერ-ჯერობით შენდგარიყოს, მაგრამ ცივი უარი გამოეცხადათ.

გარდა ამისა ერთი ჯერ გაუგებარი ბრძანება იყო ადგილობრივ მასწავლებლისაგან. სამმა სოფელმა, ასანურმა, ჯუღაანმა და ქვემო მახანანმა ათ-ათი ურემი ბეგარა უნდა გამოიყვანოს და ს. ილარიანკოდან შემა უნდა გამოიტანონ სიღნაღსაო (არ იციან ვის სასარგებლოდ) პირველ მოწერილობაზე ხალხმა უარი თქვა, ჩვენ ასეთი ბეგარა არ გავგვიგონიაო. უარის მიტქმელთა დასასჯელად ათ ურემს კიდევ ზედმეტ ბუთი ურემი მოუმატეს და „სტრახნიკების“ მათარხის ცემით აიძულეს ურემის პატრონები და ბეგარაზე გაყარეს.

ასეთი გაქირების შემდეგ თვით გლეხი კითხულობს და პასუხი მიეცით ვისაც ჯერ არს და ვისაც გული შესტივა: 1) კანონიერია ესეთი ბეგარა თუ არა და 2) თუ კანონიერია, მოუღს ქიზიუსი მარტო სამი სოფელი უნდა იყოს მოვალე ანაირი ბეგრის ასასრულებლად თუ სხვა სოფლებიც? და 3) მასთან რაოდენობა ბეგრისა ათი უნდა ყოფილიყო თუ ხუთმეტე?

ნეტავ თუ მიიღებენ ქიზიუელები ამ თავსამტერვე საკითხზე პასუხს!

ქვემო ქიზიუელი.

**გვენი სხოვრება**

დ. ხაშუტი. ომის დაწყებამდის ხაშურში ექიმები ქიანველსავით ირეოდნენ; მათი ერთი მეორისადმი მეტოქეობა ღიმილსა ჰკვირდა კლიენტებსა. მაგრამ ასტუდა საერთაშორისო ომი და ხაშურის პორიზონტიდან აღიგავა ექიმთა მრავალრიცხოვანი გუნდი. ზოგი გავხანავს ავსტრია-გერმანიის საზღვარზე, ზოგი ოსმალეთისკენ და ხაშური კი დარჩა უქეიმოდ.

ნომა მომობულ ექიმთა შორის დარჩა, ისიც მხოლოდ სურამში, ერთადერთი ბ. ტყემალაძე, რომელსაც რკინის-

გზამ მიანდო ხაშურის ამბულატორიული განყოფილება; ამისთვის დარჩება იგი, ისიც დღემდე შენახი; რასობენივე საათით. მართალია, ბ. ტყემალაძე გამოცდილი ექიმი და ხალხის ნდობაც აქვს მოპოებული, მაგრამ რას გახდება ერთი ექიმი იმისთანა ორ დიდ რაიონში, როგორიც ხაშური და სურამისა შეადგენს, ისიც ამისთანა დროს, როცა ყოველგვარი ავადმყოფობა არაჩვეულებრივად არის გავრცელებული აქ. ბ. ტყემალაძე მხოლოდ სტუმარია ხაშურისა და აქაური ავადმყოფთა ბედი უმეტესად ფერშეღების ხელშია, რომელთა შუა ერთი რუსი ფერშეღი (გვარად მგონი ნიკიტინია), მხოლოდ ჯამაგირისთვის ყოფილა თურმე ხაშურში და ავადმყოფთა გაქირვება მას არ აწუხებს. იყო ისეთი მაგალითი, რომ პატარა ყმაწვილმა გადაყლაპა თითბერის ნაჭერი; შემინებულმა დედამამამ, რომ ბავშვი არ მოგვეწამლოსო, გაიყვანეს იგი აქაურ ამბულატორიულ განყოფილებაში, სადაც დახვდათ მორიგეთ ზემოხსენებული რუსი ფერშეღი. იგი ჯერ კი ძალიან გაჯავრდა, როგორ გამოხედეთ შუადლის უკან შეწუხებოა, მერმედ კი მკვხედ მიუგო: „წაიყვანეთ სურამში ტყემალაძესთანაო“. მაგრამ მშობლები ბ. ტყემალაძესთან სურამში არ წასულან და არც სახლში მოუწვევით, ვინაიდან იცოდნენ, რომ მისი ნახვა და სახლში მოწვევა ავადმყოფის გასაშინჯად ავრე დვილი არ იყო; ამისთვის საქიროა ერთი კვირა ეტლში იჯდე და შეუწყვეტილვ ცეზდე ბ. ტყემალაძეს, ამავე დროს არ შეგიძლიან იყო დაჯერებული, რომ იპოვნი მას და თუ იპოვნი, ძნელად რომ თავისუფალი დაგხვდეს.

გ. ძინიბაძე.

**წერილი რედაქციის მიმართ**

ბ-ნო რედაქტორო, ნება მომცეთ თქვენი ვახეთის საშუალებით გულითადად მიმლობა გამოვეცხადო ნათესავთ ნაცნობთ მოკითხვისა და თანაგრძობობისათვის. ვწუხვარ, რომ ავადმყოფობა ხელს მიშლიდა მათს დახეშებზე და შეკითხვავ ჯეროვანი პასუხი გამოეცა.

ილიკო აბაშიძე.

**რედაქციის სანახა**

შოთა დადიანის თხოვნისაგერ ვაცხადებთ, რომ „საქართველოში“ მოთავსებული წერილის უ. დ—იანის ხელმოწერით მას არ ეკუთვნის.

**რედაქტორ-გამომცემელი**

სანახარო შანშიაშვილი

**ამიერ-კავკასიის რჩინის გზის მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თბილისს. საათით)

**თბილისში მოდის:**

№ 3 ბაქოდან . . .	12 ს. 54 წ. დ.
№ 4 ბათომიდან . . .	5 ს. 55 წ. საღ.
№ 5 ბაქოდან (სწრაფი) . . .	7 ს. 41 წ. საღ.
№ 10 ბათომიდან . . .	9 ს. 51 წ. დილ.
ჯულფიდან . . .	6 ს. 53 წ. დილ.
ბორჯომიდან . . .	7 ს. 25 წ. დილ.
„ საგარ. . .	10 ს. 28 წ. საღ.

**თბილისიდან გადის:**

№ 3 ბათომისკენ . . .	1 ს. 45 წ. დ.
№ 4 ბაქოსკენ . . .	7 ს. 3 წ. საღ.
№ 6 ბაქოს (სწრაფი) . . .	12 ს. 8 წ. დილ.
№ 9 ბათომისკენ . . .	8 ს. 53 წ. საღ.
ჯულფისკენ . . .	10 ს. 23 წ. საღ.
ბორჯომისკენ . . .	3 ს. 29 წ. დ.

**თავის მრავალნი ავ. კეგელიძე**

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.

**განყოფილება ავლაბარში**

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და საავტოო სახლ. „ლ. ბაილკოვის-გვით“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ნიჭილად, მცირე მარლიანი, შავი „მეშინი“ ხიზილად, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარვა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.